# გამარჯვების დღესასწაულს გილოცავთ, მეგობრებო!

მათ
ხსოვნას
სამშობლო
სანთლებად
აინთებს...

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 88 (7149)

9 1982 წ. მაისი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



პიონერთა საპატიო ყარაული უცნობი ჯარისკაცის საფლავთან თბილისის გამარჯვების პარკში.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

# ნიკარაგუის რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაცია თბილისში

**7 მაისს** ლენინგრადიდან თბილისში სპეციალური რეისით ჩამოვიდა ნიკარაგუის რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორი რევოლუციის კომანდანტე დანიელ ორტეგა საავედრა. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

სტუმრებს გულთბილად დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია და სხვა ოფიციალური პირები.

დელეგაციასთან ერთად თბილისში ჩამოფრინდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. თ. ვატჩენკო, სსრ კავშირის ელჩი ნიკარაგუის რესპუბლიკაში გ. ე. შლიაპნიკოვი, ნიკარაგუის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ხ. სუარეს ესპინოსა.

**8 მაისს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო ნიკარაგუის რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაცია.

ე. ა. შევარდნაძე გულითადად მიესალმა ნიკარაგუის რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს, დელეგაციის მეთაურს დანიელ ორტეგას, მიულოცა მათ საბჭოთა კავშირ-ნიკარაგუის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება და აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა დიდი კმაყოფილებით აღიქვეს დელეგაციის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი საბჭოთა კავშირში. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის ცხოვრება, მისი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ო. შ. ქაჯაია და ლ. ი. მგალობლიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწე ვ. ტ. ალფენიძე.

(საქინფორმი).

## სარდლის მემორიალი:

# „მომავალ შეხვედრამდე!“

**ოცდამეჩვიდმეტე მშვიდობიანი გაზაფხული დაიბიჯებს საბჭოეთის მადლიან მიწაზე, ოცდამეჩვიდმეტე მზიანი მაისი გათენდა იმ ქარცეცხლიანი დღეების ცოცხალ მემატიანეთათვის, ოცდამეჩვიდმეტეჯერ ხვდებიან ისინი ამ დღეს ერთმანეთს და გამარჯვების ზეიმს.**

...რამდენი სახელოვანი გმირი ჰყავს საქართველოს, რომელთაც ბრძოლით, სისხლით, შრომით, ცრემლით, შიმშილით, წამებით გამოჭედეს მტერზე გამარჯვება. მათი ხსოვნა, მართლაც რომ „სანთლებად აინთო“ ქვეყანამ და საქართველოს აწინდელ გამარჯვებებში, წარმატებებში, დიდ მიღწევებში სწორედ რომ განუსაზღვრელია ღვაწლი და როლი იმ გამოცდილი მხედართმთავრებისა, პირზე ღიმილშერჩენილი მარად ჭაბუკი მეომრებისა, ერთი დაძახებისთანავე რომ გამოვიდნენ და შეეწირნენ კიდეც მამულს.

**კონსტანტინე ლესელიძე** ერთი უნათლესი სახეა იმ გმირთა პანთეონში. მის სახელს სხვაგვარად, გამორჩეული მოწიწებით, კრძალვით წარმოთქვამს მადლიერი შთამომავლობა და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ჩვენში უკვე კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარდეს მისი სახელობის საკავშირო მემორიალი კრივში.

შარშან ამ რანგის შეჯიბრება თელავში გაიმართა, წელს კი ომისა და სპორტის ვეტერანებს მზიური აჭარა მასპინძლობს. სწორედ მათი, საქართველოს სპორტკომიტეტისა და სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით გაიმართა ეს ტრადიციული რესპუბლიკური შეკრება.

გულთბილად შეეგებნენ სტუმრებს ბათუმელი მშრომელები. კვლავ ეწვივნენ საქართველოს ლეგენდარული მე-18 არმიის მებრძოლები, „მცირემიწელები“: კიეველი ცოლ-ქმარი **ევა** და **მიხეილ კუშნირები**, **იგორ პობირჩენკო**, დნეპროპეტროვსკელი **მიხეილ მიაგკოვი**, იალტელი **ანატოლი ფიოდოროვი** და **ფიოდორ ჩალუხიდი**, აქ არიან მე-18 არმიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე **დიმიტრი ჯაბუა**, კუნიკოველი, უფროსი ლეიტენანტი, მცხეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი **შალვა თათარაშვილი**, მე-18 არმიის საპატიო ვეტერანი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი **მიხეილ დავითაშვილი**, 714-ე საველე პირველი ხაზის ჰოსპიტლის ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამარ გოთუა**, მზვერავი, მე-18 არმიის შტაბის უფროსი ლეიტენანტი, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი **ივანე ტატიშვილი**, 1448-ე მსროლელი პოლკის მზვერავი, უფროსი ლეიტენანტი, თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მასწავლებელი **დიმიტრი ქართველიშვილი**, საფრონტო გაზეთ „წინ, სამშობლოსთვის“, სპეციალური კორესპონდენტი, პოდპოლკოვნიკი, მე-18 არმიის ვეტერანი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმის დირექტორის მოადგილე **იაკობ კეზერაშვილი**,

(დასასრული მე-2 გვ.)

# დღეს სტარტია

**9 მაისს,** გამარჯვების დღეს, სტარტს აიღებს XXXV ტრადიციული მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლა, რომელიც ამჯერად ჩატარდება მარშრუტით — პრაღა-ვარშავა-ბერლინი. შეჯიბრებაში 20 ქვეყნის ველომრბოლელი იბრძვის პირველობისათვის. დავას მონაწილენი პრაღის ქუჩებში, პროლოგით დაიწყებენ (5,5 კმ), შემდეგ კი სამი მოძმე რესპუბლიკის — ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და გდრ-ის გზებზე უნდა დაძლიონ 12 ეტაპი სიგრძით 1900 კმ. ასპარეზობის ფინიში 23 მაისს გაიმართება. სპორტსმენები იბრძოლებენ გუნდური და პირადი პირველობისთვის, აგრეთვე შეეცდებიან მოიპოვონ სხვადასხვა პრიზები — „მთის მეფის“, ყველაზე აქტიური, ყველაზე უნივერსალური მრბოლის, ყველაზე სტაბილური შედეგებისათვის.

სსრ კავშირის გუნდი სტარტზე პირველად 1954 წელს გამოვიდა. დებიუტი საკმაოდ მორიდებული გამოდგა — VI ადგილი. მაგრამ ორი წლის შემდეგ ჩვენი ნაკრები უძლიერესი გახდა და იქიდან მოყოლებული 15-ჯერ გაიმარჯვა მშვიდობის ველორბოლაში. პირად წარმატებათა ანგარიში კი 1961 წელს გახსნა ი. მელიხოვმა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ამ ასპარეზობაში ფიგურირებს საბჭოთა სპორტსმენთა „დუბლი“, რომლებიც იმარჯვებენ პირად და გუნდურ პირველობაში.

● მოკრივეთა VI საკავშირო...

# ხვალ ფინალია

**ბათუმი. 8 მაისი (ტელეფონით).** გრძელდება გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი კრივში. 54 კგ წონის თბილისელ ზურაბ ანთიასა და ბელგოროდელ სერგეი ნუდნინის ორთაბრძოლაში ხუთივე მსაჯმა გამარჯვება ქართველ სპორტსმენს მიაკუთვნა. 57 კგ წონით კატეგორიაში კი თბილისელი თამაზ პატარიძის მეტოქე ვოლგოგრადელი ვლადიმერ ფილატოვი შეჯიბრებიდან მოიხსნა და გამარჯვება ქართველ მოკრივეს მიაკუთვნეს. მეტოქის გამოუცხადებლობის გამო ფოთელი მამუკა კოკაია (60 კგ) გავიდა ნახევარფინალში, ხოლო ცხინვალელმა ალექსანდრე ფედეევმა მოუგო აშკარა უპირატესობით შიმანოვსკელ ვალერი სულთანოვს.

საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა მაკიეველ ალექსანდრე სმირნოვსა და ლვოველ პაველ დერგაჩოვს შორის — 67 კგ. ქულებით ლვოველმა სპორტსმენმა გაიმარჯვა.

მომდევნო წონაში მწვავე ბრძოლაში ლენინგრადელმა ოლეგ მუკინმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ვოლგოგრადელ ნიკოლოზ ტალიმოვთან, ხოლო საშუალო წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისელი ამირან ხუროშვილი და თბილისელი აკაკი ქვილითაია. თბილისელ მოკრივეს წარბი დაუზიანდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. ლვოველმა ვლადიმერ შევარდზუტსკიმ პირველივე რაუნდში დაამარცხა ერევნელი ალბერტ მექლუნიანი.

ქვემძიმე წონის თბილისელმა გურამ შავაძემ პირველივე რაუნდში აშკარა უპირატესობით სძლია ნოვოროსიისკელ სერგეი პორტნიკოვს. ასევე აშკარა იყო ხერსონელი ოლეგ კროტიენკოს უპირატესობა ფოთელ ვიქტორ ჩუპრინთან ბრძოლაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ნახევარფინალში გასასვლელი ორთაბრძოლები ძალიან მწვავე და საინტერესო იყო. ჩვენი რესპუბლიკის 12 სპორტსმენი იბრძვის ფინალში გასასვლელად, რომელიც 10 მაისს გაიმართება.

**ო. მურვანიძე.**
]

# 9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეა

## „მომავალ შეხვედრამდე!“

დასასრული

ლეგენდარული მხედართმთავრის ქალიშვილი, ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი **იზოლდა ლესელიძე** და რძალი **გალინა ლესელიძე**, სპორტის ვეტერანები **ჯულიეტა ბეჟანოვა, ოთარ დიდებულიძე, თენგიზ მეძმარიაშვილი...**

— მთელი ომი ერთად განვვლეთ მე და ჩემმა მეუღლემ, — გვეუბნება მიხეილ კუშნირი, — ერთად ვიბრძოდით მცირე მიწაზე. ომის დაწყებამდე ერთი ვაჟიშვილი გვყავდა, ომის შემდეგ კიდევ ერთი შეგვეძინა. ფრონტზე უამრავ ქართველ მეომარს დავუმეგობრდით და ჩვენი ურთიერთობა ახლაც გრძელდება. საქართველო მეორე სამშობლოდ მიგვაჩნია. ლესელიძის მემორიალი გაისისთვის დაგეგმილია ქუთაისში ჩატარდეს. კვლავაც დიდი სიამოვნებით ვეწვევით საქართველოს.

...დღის 12 საათია. ლენინის მოედანზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ომის ვეტერანები ცოცხალი ყვავილების გვირგვინით ამკობენ პროლეტარიატის ბელადის ძეგლს. შემდეგ ომგადახდილთა კოლონა გმირთა უკვდავსაყოფად აღმართული ობელისკისაკენ მიემართება — წუთიერი დუმილით პატივს სცემს შინმოუსვლელთა ნათელ ხსოვნას და თითქოს სიმბოლურია, რომ სამოცდაათს მიტანებულ მრავალჭირგამოვლილ მეომრებს საყვირებისა და დაფდაფების შეწყობილი ხმებით მიაცილებენ შავ შარვლებსა და წითელ მუნდირებში გამოწყობილი პიონერები. მათ შემხედვარეს გული საგულეს გაქვს — ნათელი, ბედნიერი, სიხარულით გაცისკროვნებული სახეები, რწმენით, იმედით, სიძნელეებთან ბრძოლის სურვილით ანთებული თვალები. სწორედ მათ მექაში — ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში შედგა ომისა და სპორტის ვეტერანთა საზეიმო შეხვედრა, რომელიც გახსნა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **დავით პერტენავამ**.

— ომის წლებში სხვადასხვა ფრონტზე აჭარიდან წასული 25000-ზე მეტი კაცი იბრძოდა, — თქვა მან. — 10000-ზე მეტი შინ არ დაბრუნებულა. მათ შორის ბევრი იყო სპორტსმენი: ჩოგბურთელი ვახტანგ ლეჟავა, წყალბურთელი გარი მერკვილაძე, ფეხბურთელები, ძმები წითურიშვილები, ტანმოვარჯიშეები, ძმები ვაშაკიძეები და სხვები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კონსტანტინე ლესელიძის სახელობის მოკრივეთა საკავშირო მემორიალი სწორედ გამარჯვების დღეს ემთხვევა და თქვენს მშვენიერ და სტუმართმოყვარე ქალაქში ტარდება.

სპორტის ვეტერანთა სახელით ომგადახდილებს გულთბილად მიესალმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ მეძმარიაშვილი. ლესელიძის სახელობის მეექვსე მემორიალის გახსნას სპორტის ვეტერანებს ულოცავს ომის ვეტერანი თამარ გოთუა.

შემდეგ სიტყვას ამბობენ შალვა თათარაშვილი, მიხეილ მიაგკოვი, მიხეილ კუშნირი, ოთარ დიდებულიძე, ჯულიეტა ბეჟანოვა, იაკობ კეზერაშვილი, ვლადიმერ გელავა. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით შეკრების მონაწილეებს მიესალმა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე არჩილ ტაკიძე.

სპორტის ვეტერანთა ტრადიციულ რესპუბლიკურ შეკრებას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **ნ. გუგუნავა**, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ნ. ცეცხლაძე**.

საზეიმო სხდომის დასასრულს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელებმა საპატიო სტუმრებისათვის გამართეს სადღესასწაულო კონცერტი.

• • •

განათლების სამინისტროს ტანვარჯიშული სპორტული სკოლის დარბაზი პირთამდე სავსეა ხალხით. ტრიბუნების მოპირდაპირე მხარეს საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ვეებერთელა პორტრეტი ჰკიდია. ადგილობრივი კომენტატორი ლესელიძის სახელობის მოკრივეთა საკავშირო მემორიალს გახსნილად აცხადებს. გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი — ალამი აღმართულია. დგება საზეიმო და ამაღელვებელი წუთი — სიტყვას ამბობს მემორიალის საპატიო მთავარი მსაჯი, მხედართმთავრის ქალიშვილი იზოლდა ლესელიძე. იგი მადლობას უხდის ასპარეზობის ორგანიზატორებს და წარმატებას უსურვებს მემორიალის მონაწილე ახალგაზრდა მოკრივეებს.

...მემორიალი საზეიმოდ დაიხურება 10 მაისს. გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან გამარჯვებულები. ამით დამთავრდება ომის ვეტერანებისა და ომის მონაწილე სპორტის ვეტერანთა საზეიმო შეხვედრა, მაგრამ არ შეწყდება კავშირი გულთა შორის, რამეთუ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლონ მათ, ვინაც სამშობლოს დარაჯად თქმულან, ვინაც ომსა და ქარცეცხლში უმწიკვლოდ ატარა მამულიშვილობის, კაცობისა და სინდის-ნამუსის უწმიდესი დროშა. მემორიალის დამთავრებისას ისინი თბილად, მხედრულად დაემშვიდობებიან ერთმანეთს და იტყვიან: „მომავალ შეხვედრამდე, ქართულ მიწაზე!“

**ნანა ჯოხარიძე,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**
ბათუმი.

* * *

**სურათზე: ომისა და სპორტის ვეტერანები ბათუმში, რევოლუციის მუზეუმთან. პირველ რიგში, მარცხნიდან მესამე მე-18 არმიის მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის ქალიშვილი, მემორიალის საპატიო მთავარი მსაჯი იზოლდა ლესელიძე.**

## „სპორტი ეს სიცოცხლეა“

**ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობაზე გვესაუბრება საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გადამდგარი გენერალ-მაიორი**

**შალვა ქირია**

● **პატივცემულო შალვა! ახლახან გამომცემლობა „მერანმა“ რუსულ ენაზე დასტამბა თქვენი წიგნი „ცა ვარსკვლავებს ეკუთვნის“, რომელშიც მოგვითხრობთ თქვენს საბრძოლო ცხოვრებაზე, ბავშვობაზე. თქვენ ჭეშმარიტად რკინისებური ნებისყოფისა და ჯანმრთელობის მქონე ადამიანი ბრძანდებით, გვითხარით ყრმობაში როგორი დამოკიდებულება გქონდათ სპორტთან?**

— სოფელში ვიზრდებოდი და, როგორც ყველა ბავშვი, მეც დავრბოდი, ვცურავდი მდინარე ჯუმზე, რომელიც ჩემს მშობლიურ სოფელ ცაიშს შუაზე ჰყოფს. სპორტული სახეობებიდან, რომელშიც ჯუმის გაღმა-გამოღმელები ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ჩვენი უბერებელი ლელო იყო. ასევე ხშირად ვმართავდით ხელჩართულ ბრძოლას, რომელიც დაახლოებით ძველთბილისური მუშტი-კრივის მსგავსი იყო. ეს გვაჩვევდა სისწრაფეს, მოქნილობას, შეუპოვრობას.

● **30-იან წლებში სწავლობდით კრასნოდარის კავალერისტთა სკოლაში, სადაც თქვენთან ერთად ბევრი შემდგომში ცნობილი სამხედრო მოღვაწე ეუფლებოდა სამხედრო ხელოვნებას. ხომ არ გაიხსენებდით რომელიმე ეპიზოდს სასწავლებლის სპორტული ცხოვრებიდან?**

— 1932 წელს კრასნოდარში ჩატარდა სასწავლებლების საკავშირო პირველობა ცხენოსნურ საბრძოლო მრავალჭიდში, რომელმაც თავი მოუყარა რჩეულ მხედრებს. შეჯიბრებას ესწრებოდნენ ვოროშილოვი და ბუდიონი. პირველი ადგილი მე დავიკავე. ბუდიონმა, რომელიც ჟიურის ხელმძღვანელობდა, პირადად მომილოცა გამარჯვება და გვერდით მჯდომ სასწავლებლის უფროსს ჰკითხა — ცოლიანია თუ არაო. უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, ბრძანა დავეჯილდოვებინე ასპარეზობაზე დაწესებული საუკეთესო პრიზით — „ვარშავული რკინის ფართო საწოლით“ და ღიმილით დასძინა: ორადგილიანი საწოლი რომ ექნება, ცოლსაც მალე შეირთავსო. დღევანდელ სპორტსმენებს ალბათ უცნაურად მოეჩვენებათ მსგავსი პრიზი, მაგრამ ეს იყო ამ შეჯიბრების ყველაზე ძვირფასი ჯილდო...

● **თქვენ დამთავრებული გაქვთ ორენბურგის საფრენოსნო სკოლა, რომლის კედლებში ბევრი სახელმოხვეჭილი კოსმონავტი აღიზარდა. ხომ არ გაგვიხსენებდით ეპიზოდებს სკოლის სპორტული ცხოვრებიდან?**

— სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საერთო ფიზიკურ მომზადებას, სპორტულ საქმიანობას. იყო შემთხვევები, როცა მთ-ს ნორმატივებს ზამთრის სახეობებში 40-გრადუსიან ყინვაში ვაბარებდით. ეს გვაჩვევდა დისციპლინას, ფიზიკურად გვაკაჟებდა. ჩემი თანამებრძოლი მეგობრის, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირის ივანე კოჟედუბის სიტყვები: „მთ-ს კომპლექსი წარმოადგენს სასტარტო მოედანს გმირობისაკენ“, ნათლად გამოხატავს კომპლექსის საფეხურების ამოუწურავ შესაძლებლობებს. საკმაოდ მაღალი შედეგები მქონდა მძლეოსნობაში. სიმაღლეზე, თუმცა არაოფიციალურ შეჯიბრებებში, 184 სმ-ზე ვხტებოდი, რაც იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი შედეგი იყო და სასწავლებლის რეკორდად ითვლებოდა. ვმეცადინეობდი საპარაშუტო სპორტში. შესრულებული მაქვს 100-ზე მეტი ნახტომი. საპრიზო ადგილებსაც კი ვფლობდი.

● **თქვენ 391 საბრძოლო გაფრენა შეგისრულებიათ. ჩამოგიგდიათ მტრის 81 თვითმფრინავი. კონკრეტულად რა როლი ითამაშა ამ გმირობაში სპორტმა?**

— ყოფილა შემთხვევები, როცა მტრის ათზე მეტი თვითმფრინავის გარემოცვაში მოვხვედრილვარ, მსგავსი ფაქტები მე აღწერილი მაქვს მოგონებათა წიგნში. ხშირად ცეცხლიც გამჩენია ტანზე, რისთვისაც ამხანაგებმა მეტსახელად „შალვა პლამენოსეც“ შემარქვეს. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მფრინავი აკრობატს ჰგავს. საზრიანობა, ნერვების სიმტკიცე, პასუხისმგებლობის გრძნობა, სწრაფი ორიენტირების უნარი — ყველაფერ ამისათვის მარტო ბუნებრივი მონაცემები არ კმარა, საჭიროა საგანგებო ჩვევები გამომუშავება და ამას სპორტის სპეციალურ სახეობებში მეცადინეობით თუ მიაღწევს ადამიანი. გერმანი ტიტოვის ხატოვანი გამოთქმა — „სპორტი კოსმოსში ფრთებიაო“, ნათლად გამოხატავს მის მნიშვნელობას. სპორტით იყო გატაცებული ბევრი ჩემი თანამებრძოლი. ავიაციის მარშალი სერგი რუდენკო იყო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 1934 წლის ჩემპიონი სპორტის ზამთრის სახეობებში. მრავალმხრივი სპორტსმენები იყვნენ სახელგანთქმული მფრინავ-გამანადგურებლები ივანე კოჟედუბი და გიორგი ბერეგოვოი (ამჟამად სახელმოხვეჭილი კოსმონავტი), რომელთან ერთად რამდენიმე საჰაერო დუელი გამიმართავს მტრის სვავებთან.

● **თქვენ ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკივარი ბრძანდებით. მხოლოდ ქომაგობით ამოიწურება თქვენი დამოკიდებულება ამ თამაშისადმი თუ...**

— ფეხბურთი, მართლაც, უზომოდ მიყვარს, რადგან თავის დროზე მეც ვთამაშობდი ფეხბურთს. 1928-1929 წლებში ვიყავი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრები გუნდის მარჯვენა ნახევარმცველი. ინტერნაციონალური გუნდი იყო.

● **ამჟამად შვიდი ათეული წლის ბრძანდებით, მხნედ გამოიყურებით და ჩვეული მხედრული იერიც შენარჩუნებული გაქვთ. სპორტის რომელ სახეობას მისდევთ და როგორ იყენებთ მას ჯანმრთელობის გასაკაჟებლად?**

— ამ შეკითხვაზე დიდი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის სიტყვები მახსენდება. ცნობილია, რომ იგი სპორტის რამდენიმე სახეობაში ვარჯიშობდა და წარმატებითაც. როცა უკვე ხანშიშესულს ჰკითხეს, — ხანდაზმულობის ჟამს სპორტის რომელ სახეობაში აირჩევდითო ვარჯიშს, მან უპასუხა: რბენაში, რბენის ფასს ადამიანი მხოლოდ 60-70 წლის ასაკში გებულობსო. ჩემს ყოველდღიურ რეჟიმში მტკიცედ დავამკვიდრე „ჟუნძულით“ რბენა, რომელიც ასე პოპულარულია დღეს. მაგრამ, გულახდილად უნდა მოგახსენოთ, ჯერჯერობით იოლად ვვარჯიშობ. ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი, განსაკუთრებით პერიფერიებში, მასობრივმა სპორტმა, რაც ესოდენ საჭიროა დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფანტასტიკურად ზრდის პირობებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გასული წლის 11 სექტემბრის დადგენილება უსაზღვრო შესაძლებლობას უქმნის საბჭოთა ადამიანებს იმისათვის, რომ გაიკაჟონ ორგანიზმი, გახდნენ ენერგიულნი, ხალისიანნი, ხანგრძლივად შეინარჩუნონ შრომისუნარიანობა. რად ღირს დადგენილების თუნდაც ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ სპორტული ბაზები, სტადიონები ყოველდღე, გარკვეული დროით უსასყიდლოდ დაეთმოს მშრომელებს. დადგენილება გაზრდილი ამოცანების წინაშე აყენებს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეს, ვინაიდან სამშობლოს მტკიცე ნერვებისა და რწმენის ჯანმაგარი დამცველნი სჭირდება. მამ უფრო აქტიურად ჩავრთოთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზკულტურა და სპორტი, გონივრულად გამოვიყენოთ თავისუფალი დრო. სპორტი — ეს ხომ სიცოცხლეა, ურომლისოდაც, მე პირადად, ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია.

**საუბარი ჩაიწერა**
**ქ. ფიფიამ.**

## ჩვენი სტუმარია

За нашу Советскую Родину!

ЛЕНИНСКОЕ ЗНАМЯ

Газета выходит с 8 сентября 1918 года

**ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარებში დამთავრდა სწავლების ზამთრის პერიოდი. საგაზაფხულო საკონტროლო შემოწმებაზე მებრძოლებმა სამშობლოს წარმატებით ჩააბარეს ანგარიში — გამოამჟღავნეს მიღებული ცოდნა და ჩვევები. თანამედროვე ომის რეალურ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ რთულ სიტუაციაში მათ დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ შეასრულონ ნებისმიერი ამოცანა თავისი ხალხის მშვიდობიანი შრომის დასაცავად.**

**აქ მოთავსებული მასალები მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ და სწავლობენ სამხედრო საქმეს ჩვენი ქვეყნის სამხრეთის საზღვრების დამცველები.**

## ძნელი გამოცდა

**მოტომსროლელებმა** უცნობ ადგილებში მთელი საღამო დაზვერვას მოანდომეს. ოფიცერმა ს. სკიბამ კარგად იცოდა, რომ ტრანშეებით დაღარული სიმაღლე „პლოსკაია“ წინ წაწევისათვის გასაღებს წარმოადგენდა.

ოფიცერმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: მალულად მიახლოებოდნენ „მეტოქეს“ და შემდეგ განეხორციელებინათ მანევრი საბრძოლო მანქანებით და სამი მხრიდან შეტევით გაენადგურებინათ „მტერი“.

სასწავლო-საბრძოლო ამოცანას ყურადღებით უსმენდნენ სერჟანტები მ. კოზლენკო, გ. სარუხანიანი, გ. ხუხუნაშვილი. მეთაურები ძნელი გამოცდისთვის ემზადებოდნენ. შემდეგ თითოეულმა დასახული ამოცანა განყოფილებას გააცნო. უახლოეს ზურგში მოტომსროლელებმა გაითამაშეს და რამდენიმეჯერ გაიმეორეს „პლოსკაიას“ ასაღებად გამიზნული ერთი და იგივე მოქმედებები. ძალზე გაუჭირდათ ჯარისკაცებს, მაგრამ ოფიცერმა ს. სკიბამ მებრძოლებს შეახსენა სუვოროვის სიტყვები: „ძნელია სწავლის პროცესი, მაგრამ ცოდნა გაგიადვილებს ბრძოლას“.

გადამწყვეტ დღეს წყნარი, უქარო ამინდი იდგა. საბრძოლო მანქანები მზად იყვნენ სამოქმედოდ. დაიწყო მოკლე, მაგრამ სწრაფი მარში. ჯგუფი შეუმჩნევლად მიადგა „მეტოქის“ დაცვის წინა ხაზს.

ახმაურდნენ დამხვდურთა საცეცხლე წერტილები. მთავარი დარტყმა ცენტრალურმა ოცეულმა მიიღო და ღირსეულადაც გაუძლო. „მეტოქემ“ იმის შიშით, რომ ალყაში არ მოქცეულიყო, უკან დაიხია. მას ვერ უშველა დასახმარებლად მოსულმა ნაწილმა.

მოტომსროლელების მოქმედებას შეიძლება ბრძოლის გენერალური რეპეტიცია ეწოდოს, ვინაიდან პირობითი მხოლოდ მეტოქე იყო. დანარჩენი ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც ნამდვილ ბრძოლაში. და იმ ქვეგანაყოფის ჯარისკაცებმა, რომელშიც ოფიცერი ს. სკიბა მსახურობს, ღირსეულად გაართვეს თავი დასახულ ამოცანას.

**ა. კარცევი,**
**უფროსი ლეიტენანტი.**

## ცოდნით, ოსტატობით...

**ბატარეის** საარტილერიო ჯგუფები, რომელშიც ოფიცერი ნ. კოჩიანი მსახურობს, სასწავლო-საბრძოლო ნორმატივებს ასრულებდნენ. ასეთი ღონისძიებები მათ ბევრჯერ ჩაუტარებიათ, მაგრამ მეცადინეობა ამჯერად განსაკუთრებულად დაძაბული გამოდგა. საქმე ის იყო, რომ სწორედ ახლა უნდა გადაწყვეტილიყო მთავარი: ვინ გაიმარჯვებდა უფროსი სერჟანტების შალვა ამიროვისა და გია კაკაშვილის ჯგუფებიდან?

აი, რიგითი კარენ ოჰანესიანი იარაღს მიზნისკენ მიმართავს, რასაც მან ნორმატივით გათვალისწინებულ დროზე ნაკლები მოანდომა. სხვა დროს ალბათ ასეთი შედეგი გაახარებდა მის თანაჯგუფელებს, მაგრამ ამჯერად კარენისგან მეტს მოელოდნენ, — კაკაშვილის ჯგუფი ხომ კვალდაკვალ მიჰყვებოდა მათ. მეტოქეები ცდილობდნენ არაფერში ჩამორჩენოდნენ ერთმანეთს. ეს არცაა გასაკვირი. შეჯიბრებას ერთპიროვნული ლიდერიც უნდა გამოევლინა. ამიტომაც იყო, რომ შალვა ამიროვის ჯგუფში ყველას უნდოდა პირველი კლასის მემიზნე ოჰანესიანზე უკეთ ემოქმედა.

საწყის პოზიციას იკავებს კაკაშვილის ჯგუფი. ვინც სროლას მორჩა, არბიტრის ადგილი დაიკავა. ასეთი კონტროლისას არც ერთი წვრილმანი არ რჩება შეუმჩნეველი. კაკაშვილის ჯგუფის წევრები შეთანხმებულად მოქმედებდნენ. თითოეულმა ჯარისკაცმა შესაშური გაწაფულობა, ცოდნა, ოსტატობა გამოავლინა. არტილერისტებმა ისეთივე შეფასება დაიმსახურეს, როგორიც მათმა მეტოქეებმა.

— გამოდის, რომ საბრძოლო ფრეა? — თქვა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

თანამშრომლებთან საუბრისას ეს სიტყვები გაიხსენა ოცეულის აგიტატორმა.

— აქ ლაპარაკი იყო შეჯიბრების ფრედ დამთავრებაზე, — შენიშნა მან. — არავითარი ფრე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კაკაშვილის ჯგუფი ცოტა უკეთ მოქმედებდა, მეორეც — ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი საერთო საქმე იმარჯვებს.

**ჯ. ქვანია,**
**სერჟანტი.**

## ლენინური საღამოები

**ქვეგანაყოფილებაში** სისტემატურად ეწყობა მეგობრობის ლენინური საღამოები, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს. საღამოებზე სიტყვებით გამოდიან ჯარისკაცები და სერჟანტები.

ერთ-ერთ ასეთ საღამოზე რიგითმა პ. ცერცვაძემ ილაპარაკა ი. სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობაზე, სადაც იგი არმიაში გაწვევამდე შრომობდა.

— ახლახან შინიდან წერილი მივიღე, — თქვა მან. — მშობლები მწერენ, რომ უკვე შეუდგნენ ვენახებში მუშაობას. შარშან გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის ყურძნისა და სიმინდის მიყიდვის გეგმა, ხოლო საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის საიუბილეო წელს ჩემი თანასოფლელებისგან სამშობლო სოფლის მეურნეობის უფრო მეტ პროდუქციას მიიღებს.

რიგითი პ. ცერცვაძე უმცროსი სერჟანტების ნ. კიმისა და ს. მარჩენკოს დახმარებით ეუფლება ტანკის მექანიკოს-მძღოლის პროფესიას და დიდი ხანია მხოლოდ „ფრიადებს“ იმსახურებს.

**ა. ბადალიანი,**
**რიგითი ჯარისკაცი.**

## სიმხნევე, ჯანმრთელობა...

**ჩვენს** მებრძოლებს უყვართ სპორტული ზეიმები. ამიტომ პარტიული და კომკავშირული აქტივისტები ხშირად აწყობენ შეჯიბრებებს, რომლებიც ძალის, მოქნილობისა და გამძლეობის ნათელ დემონსტრაციად იქცევა.

მრავალრიცხოვან მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება გასამხედროებული ესტაფეტა. პირველ ეტაპზე მორბენლები იდგნენ. ისინი შეცვალეს „სანიტრებმა“, რომლებიც „დაჭრილ“ ამხანაგებს მიათრევდნენ. მომდევნო ჯგუფის წევრებმა დამცავი ტანსაცმელი ჩაიცვეს და მოწამლული ადგილები გადალახეს. ბოლო ეტაპის მონაწილენი შლიდნენ, შემდეგ აწყობდნენ ავტომატებს და ისროდნენ.

გაიმარჯვა გუნდმა უფროსი ლეიტენანტის ა. შანინის, უმცროსი სერჟანტების კ. აკოფიანის, მ. უსოიანის, რიგითი მ. ფარქოსაძის, ი. მიტჩესის და ა. გუბინის შემადგენლობით.

განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა ძალოსანთა შეჯიბრება. მ. უსოიანს 24-კილოგრამიანი საწონის ცალი ხელით 44-ჯერ თავს ზემოთ აწევა და ორივე ხელით ამავე წონის გირის 12-ჯერ ტყორცნა დასჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

ბაგირის გადაძალვის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინჟინერმესანგრეთა და სატანკო ქვეგანაყოფის გუნდები. მწვავე ბრძოლაში გაიმარჯვეს ტანკისტებმა.

სპორტული ზეიმი გამარჯვებულთა დაჯილდოებით დამთავრდა.

**ვ. ბორისოვი,**
**ლეიტენანტი.**

## მიეძღვნა კომკავშირის ყრილობას

**კომკავშირული** აქტივის თაოსნობით N ნაწილში გაიმართა ლენინური კომკავშირის XIX ყრილობისადმი მიძღვნილი ტურნირი რუსულ შაშში.

ქულის დაუკარგავად ჩაატარა ყველა შეხვედრა პირველთანრიგოსანმა ლეიტენანტმა რომან აირაპეტიანმა.

II-III ადგილები გაიყვეს უფროსმა ლეიტენანტმა ავთანდილ გიგინეიშვილმა და ლეიტენანტმა ლეონიდ მარკოვმა.

**ვ. ბორისოვი,**
**ლეიტენანტი.**

**სურათებზე: მებრძოლები მორიგ მეცადინეობაზე.**

### გამოცდილება:

### გავიზიაროთ, ჩვენთანაც დავნერგოთ!

## კარი ყველასთვის ღიაა

**მოსკოვში,** ვარშავის გზატკეცილის 14 ნომერში, მდებარეობს არც თუ დიდი, მაგრამ ძალზე მყუდრო სტადიონი „ტრუდი“. რა თქმა უნდა, იგი ვერ შეედრება ისეთ გიგანტურ სპორტულ კომპლექსებს, როგორიცაა ლუჟნიკი, „დინამო“, ოლიმპიური ნაგებობანი. აქ არ ტარდება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები, მართალი რომ ვთქვათ, მისი არსებობა დედაქალაქის ყველა სპორტის მოყვარულმაც არ იცის, მაგრამ საბჭოთა რაიონისა და მეზობელი — კრასნოგვარდეისკის, სევასტოპოლისა და ჩერიომუშკინსკის რაიონების მცხოვრებთათვის აქ მომავალი გზა კარგადაა ცნობილი. სტადიონი ფართოდ უღებს მათ კარებს.

— კარს საერთოდ არ ვკეტავთ, — ამბობს სტადიონის დირექტორი ა. ზაბავნიკოვი. — საშტატო ერთეულში არ გვყავს კონტროლიორი, შესვლა ყველასათვის უფასოა.

თუმცა ჩვენი ამოცანები და შესაძლებლობანიც რაიონული მასშტაბისაა, მაგრამ მათი შესრულებით დიდი წვლილი შეგვაქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საერთო საქმეში.

არც ერთი სპორტული ნაგებობა არ უნდა ცდებოდეს, სტადიონი ვალდებულია ემსახუროს ხალხს. „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია: „უზრუნველყოფილ იქნას სპორტული ბაზების ეფექტური გამოყენება იმის მიუხედავად, ვის ეკუთვნის იგი. სპორტულ ნაგებობათა კოლექტივების საქმიანობის შეფასებისას ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად მიჩნეულ იქნას მშრომელებსა და ბავშვებს შორის ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დონე“.

ჩვენ ვცდილობთ, რომ სტადიონი ყველა ასაკის ადამიანისათვის ჯანმრთელობის კომბინატი თუ არა, სამქრო მაინც გახდეს. განსაკუთრებით გვიხარია, როცა „საოჯახო გუნდები“ გვეწვევიან.

ვთქვათ, მოზარდი ვერ მოხვდა ცსკა-ს ან „დინამოს“ ჰოკეის სექციაში. არა უშავს, მოვიდეს ჩვენთან „ტრუდში“ და ყოველთვის იპოვის ადგილს „ველურ“ გუნდში. ასეთი გუნდები ინსტრუქტორთა მეთვალყურეობით შაბათს და კვირას მიმდინარე ტურნირებში დაღამებამდე სხვადასხვა პრიზისთვის ეჯიბრებიან ერთმანეთს.

გულშემატკივრებიც და მსაჯებიც მშობლები არიან. იქნებ ვინმეს სურს მიბაძოს ვერა ზოზულიას ან სერგეი დანილინს? ჩვენთან ესეც გათვალისწინებულია. წლეულს ზამთარში მწყობრში ჩადგა ჯერჯერობით მთელს მოსკოვში ერთადერთი საბავშვო 150-მეტრიანი საციგაო ტრასა.

— საშუალო და ხანშესული ასაკის ადამიანებისათვის, — განაგრძობს ზაბავნიკოვი, — გვაქვს სპორტული დარბაზი, სადაც ზამთრის პერიოდში შეიძლება ფრენბურთის, კალათბურთის თამაში, მოწყობილია სამედიცინო-აღდგენითი ცენტრი საუნითა და აუზით.

ბევრი რამ გასაკეთებელი გვაქვს. მაგალითად, უნდა გაფართოვდეს გასახდელები, შეკეთდეს ტრიბუნები, რომლებიც 10 ათასამდე მაყურებელს იტევს.

ეს სტადიონი ძირითადად ზამთრის სახეობებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ზაფხულობით საციგურაო და ჰოკეის სარბიელი ფეხბურთელთა, მძლეოსანთა და მშვილდოსანთა სამასპარეზოდ გადაიქცევა ხოლმე. 300 ველოსიპედი უცდის საზატკეცილო ველორბოლის მოყვარულთ. მალე გაიხსნება რბენის, ფრენბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულთა კლუბების კარები.

— საჩუქარს ვუმზადებთ ჩოგბურთის მოყვარულებს: ვაშენებთ 8 კორტს, — თქვა ზაბავნიკოვმა. — ვინ იცის, იქნებ მეზობელი სახლიდან მომავალი ალექსანდრე მეტრეველი მოგვიყვანონ?

**ა. ნოვიკოვი.**

● **სპორტული სიმწიფის კარიბჭესთან**

## დიდი გზის დასაწყისი

**მოჭიდავე,** რომელზედაც ამ წერილში გვექნება საუბარი, ჯერ 18 წლისაა, მაგრამ მის სპორტულ ბიოგრაფიას არაერთი სასახელო გამარჯვება ამშვენებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალექსი ხაჩიძის სახით ჩვენს ჭიდაობას იმედის მომცემი სპორტსმენი ეზრდება. ეს სპეციალისტთა საერთო აზრია, ამაზე მეტყველებს რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებებიც.

პირველი სპორტული ნაბიჯები ხუთიოდე წლის წინ გადადგა ბიძამისის გ. ხაჩიძის ხელმძღვანელობით. საუცხოო ფიზიკური მონაცემები, ყოველდღიური ვარჯიში, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, გარჯა სულ მალე დაუფასდა: ზედიზედ ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის სამბოსა და ძიუდოში, შემდეგ კი საკავშირო სარბიელზეც მოსინჯა ძალა და იქაც არავის დაუდო ტოლი — ჯერ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა, შემდეგ კი ორი საკავშირო ტურნირი მოიგო.

ა. ხაჩიძემ ყველაზე დიდ წარმატებას შარშან, მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადაზე მიაღწია: 87 კგ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა. პერსპექტიულ ჭაბუკს ახლა უკვე სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებმა მიაქციეს ყურადღება და გუნდის კანდიდატთა შორის ჩარიცხეს.

ალექსიმ ახალი სპორტული სეზონიც გამარჯვებით დაიწყო: 1964-65 წლებში დაბადებულ სამბისტთა საკავშირო პირველობაში ოქროს მედალი მოიპოვა, მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც — ექვსივე წინასწარი შეხვედრა წმინდად მოიგო, ფინალში კი მეტოქე „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხა — 10:0.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტს წინ არაერთი საპასუხისმგებლო შეჯიბრება ელის და გვჯერა, რომ კვლავაც გამარჯვებები იქნება მისი თანამგზავრი.

**ლ. კარბელაშვილი.**

• • •

**სურათზე: ა. ხაჩიძე.**

**გ. დოლენჯაშვილის ფოტო.**

## უმაღლესი ლიგა

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის IX ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის „ტორპედომ" შინ მიიღო მოსკოვის „დინამო". გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 2:1.

თბილისის დინამოელები ხარკოვში შეხვდნენ ადგილობრივ „მეტალისტს" და დამარცხდნენ — 0:3.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია:

**ცსკა — „დინამო" მნ. 2:3**

**„შახტიორი" — „ჩერნომორეცი" 0:0**

**„დნეპრი" — „არარატი" 1:1**

**„ნეფთჩი" — „სპარტაკი" 4:3**

**„კაირატი" — „ფახთაკორი" 1:1**

• • •

კრასნოდარის „ყუბანისა" და კიევის „დინამოს" შეხვედრა გადატანილია.

● **ფეხბურთი**

## I ლიგა

**7 მაისს** შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VIII ტურის ბოლო მატჩი ხაბაროვსკის არმიელთა გუნდსა და რიგის „დაუგავას" შორის. გაიმარჯვეს ხაბაროვსკელებმა — 2:0.

**სტატისტიკის** მოყვარულთათვის: კიშინიოვის „ნისტრუსა" და ლანჩხუთის „გურიის" სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა კიშინიოველთა გამარჯვებით — 4:0. ძირითად შემადგენლობათა მატჩში გააფრთხილეს (მეორედ წლევანდელ სეზონში) კერესელიძე.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 9 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნისტრუ" | 8 | 4 | 3 | 1 | 12—4 | 11 |
| „მეტალურგი" | 7 | 4 | 3 | 0 | 9—1 | 11 |
| „ლოკომოტ." | 8 | 3 | 5 | 0 | 13—3 | 11 |
| „ზარია" | 8 | 4 | 1 | 3 | 16—6 | 9 |
| „ფაქელი" | 7 | 3 | 3 | 1 | 12—4 | 9 |
| ასკ-„კარპ." | 8 | 3 | 3 | 2 | 11—9 | 9 |
| „ისკრა" | 7 | 3 | 3 | 1 | 7—6 | 9 |
| ასკ ხ. | 8 | 3 | 3 | 2 | 7—7 | 9 |
| „ქალგირისი" | 8 | 2 | 5 | 1 | 8—5 | 9 |
| „კოლოსი" | 7 | 3 | 2 | 2 | 8—5 | 8 |
| „დაუგავა" | 8 | 2 | 4 | 2 | 8—8 | 8 |
| „დინამო" | 8 | 2 | 4 | 2 | 6—6 | 8 |
| „ტავრია" | 8 | 3 | 1 | 4 | 8—9 | 7 |
| „შინიკი" | 8 | 3 | 1 | 4 | 10—17 | 7 |
| „პამირი" | 7 | 2 | 3 | 2 | 6—6 | 7 |
| „გურია" | 8 | 2 | 2 | 4 | 5—8 | 6 |
| ასკ რ. | 8 | 2 | 2 | 4 | 7—12 | 6 |
| „როტორი" | 7 | 1 | 4 | 2 | 5—6 | 6 |
| „ზვეზდა" | 7 | 2 | 1 | 4 | 3—17 | 5 |
| ასკ ჭ. | 8 | 1 | 3 | 4 | 5—11 | 5 |
| ასკ ოდ. | 8 | 0 | 4 | 4 | 2—9 | 4 |
| „სპარტაკი" | 7 | 0 | 4 | 3 | 2—11 | 4 |

## II ლიგა

IX ზონა

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 10 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შირაკი" | 5 | 4 | 1 | 0 | 10—3 | 9 |
| „ლოკომ." ს. | 6 | 2 | 4 | 0 | 10—5 | 8 |
| „მეშახტე" | 5 | 3 | 1 | 1 | 10—7 | 7 |
| „კოლხეთი" | 5 | 2 | 3 | 0 | 6—3 | 7 |
| „კოტაიკი" | 5 | 3 | 0 | 2 | 9—3 | 6 |
| „ავტომობ." | 4 | 3 | 0 | 1 | 4—5 | 6 |
| „დინამო" ბ. | 5 | 3 | 0 | 2 | 8—10 | 6 |
| „ხაზარი" | 5 | 2 | 1 | 2 | 8—6 | 5 |
| „დინამო" ს. | 5 | 2 | 1 | 2 | 2—3 | 5 |
| „არაზი" | 6 | 2 | 1 | 3 | 5—9 | 5 |
| „დილა" | 4 | 1 | 2 | 1 | 6—3 | 4 |
| „ყარაბახი" | 6 | 1 | 2 | 3 | 5—8 | 4 |
| „ქიაფაზი" | 4 | 1 | 1 | 2 | 3—4 | 3 |
| „კოლხოზჩი" | 5 | 1 | 1 | 3 | 4—8 | 3 |
| „სპარტაკი" | 5 | 1 | 1 | 3 | 3—8 | 3 |
| „ოლიმპია" | 5 | 0 | 3 | 2 | 4—6 | 3 |
| „ლოკომ." თბ. | 6 | 0 | 2 | 4 | 2—8 | 2 |

**როგორც** ვიუწყებოდით, გაზეთ „პრავდის" დაარსების 70 წლის თავს მიეძღვნა დიდოსტატებისა და ოსტატთა ტურნირი ელვისებურ თამაშში (თითოეულ პარტიაზე 10 წუთი). შეჯიბრებაში, რომელიც ჭადრაკის სასახლეში გაიმართა, 4 დიდოსტატი და 7 ოსტატი მონაწილეობდა.

**სურათზე:** (მარცხნიდან) მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (V ადგილი; 5,5 ქულა), დიდოსტატი თ. გიორგაძე (I; 8), დიდოსტატი ე. გუფელდი (III-IV; 6,5), საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგე, საერთაშორისო არბიტრი გ. გაჩეჩილაძე და საერთაშორისო ოსტატი გ. ზაიჩიკი (III-IV; 6,5).

ხ. ვართანესოვის ფოტო.

## მსოფლიოს პირველი თასი

**ბელგრადი.** 20 წლის პოლონელმა მოჭადრაკემ აგნეშა ბრუსტმანმა თერთმეტ ტურში 8,5 ქულა მოაგროვა და მოიპოვა მსოფლიო თასი, რომელიც პირველად გათამაშდა. მეორე ადგილი წილად ხვდა ტატიანა რუბცოვას (ლენინგრადის ოლქი) — 8 ქულა, 7-7 ქულა დააგროვეს მიჩურინსკელმა ელენა სტუპინამ, უნგრელმა მარტა კოვაჩმა და იუგოსლაველმა ბილიანა ვერუსმა.

ტურნირში ოცზე მეტი მოჭადრაკე-ქალიშვილი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა. (საკდესი).

● **ჭადრაკი**

საქართველოს
ვაჟთა და ქალთა
ჩემპიონატები

✦

## კვლავ გაიმარჯვა

**გაიმართა** საქართველოს ვაჟთა 43-ე ჩემპიონატის II ტურის შეხვედრები.

კვლავ გაიმარჯვა პ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც ამჯერად სძლია ოსტატ დ. გედევანიშვილს. ყაიმზე შეთანხმდნენ გ. თორია — გ. ტყებუჩავა, გ. გოგიჩაიშვილი— ვ. ვეფხვიშვილი და გ. ბაღათუროვი — ოსტატი ი. ჩიქოვანი. დანარჩენი ხუთი პარტია გადაიდო.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ პ. გაფრინდაშვილი — 2 ქულა და ვ. ვეფხვიშვილი — 1,5.

## გულთბილად მიესალმნენ

**წულუკიძე, 8 მაისი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.).** გუშინ ლენინური კომკავშირის სახელობის საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ქალთა 38-ე ჩემპიონატის ფინალი.

გახსნას უამრავი ჭადრაკის მოყვარული დაესწრო, მათ შორის ქუთაისიდან, სამტრედიიდან, მახარაძედან... მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი ვ. კვარაცხელია, საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. გაჩეჩილაძე და სხვ.

ჩემპიონატის მთავარმა არბიტრმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა, ოსტატმა თ. ხუგაშვილმა დამსწრეთ გააცნო შეჯიბრების დებულება და წარუდგინა მონაწილეები, რომლებიც შემდეგ წილისყრაზე მიიწვია. მოჭადრაკეები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ნ. მელაშვილი, 2. ოსტატი ქ. მელაშვილი, 3. ოსტატი ც. კახაბრიშვილი (ყველა — თბილისი), 4. მ. ცხვედიანი (ქუთაისი), 5. ი. კურცხალია (თბილისი), 6. ნ. წკეპლაძე (ქუთაისი), 7. მ. წერეთელი (მახარაძე), 8. ლ. სადუნიშვილი, 9. ქ. არახამია (ორივე — თბილისი), 10. ზ. ხვედელიძე (სამტრედია), 11. გ. ლაგვილავა (ქუთაისი), 12. ი. ფახლევანოვა (თბილისი), 13. თ. მესხი (ქუთაისი), 14. ც. მერეკლიშვილი, 15. ლ. თანდაშვილი (ორივე — თბილისი), 16. ს. ტერელაძე (სამტრედია), 17. ე. ფახიროვა (ქუთაისი), 18. ლ. აგბაბიშვილი (რუსთავი), 19. ოსტატი ც. ქასოშვილი (გორი), 20. ნ. ფილია (თბილისი).

შეჯიბრების რეგლამენტით მონაწილენი ზედიზედ ჩაატარებენ ხუთ-ხუთ ტურს, რომელთა შუალედებში გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა. ჩემპიონატი 30 მაისამდე გასტანს..

დღეს გაიმართება I ტური.

● **კრივი**

## ყველა დანაკარგით იბრძვის

**მოკრივეთა** III მსოფლიო პირველობაში, რომელიც მიუნხენის რინგზე მიმდინარეობს, საბჭოთა სპორტსმენები საკმაოდ არასახარბიელო მაჩვენებლებით ჩაებნენ — მათ ოთხი შეხვედრიდან ერთადერთი გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული. ჩვენი აქტივი გაიზარდა ევროპის ორგზის ჩემპიონისა და ოლიმპიადა-80 ვერცხლის პრიზიორის ალმაათელი ს. კონოკბაევის (67 კგ) გამოსვლის შემდეგ, რომელიც ახალგაზრდა კუბელ ხოსე ერნანდესთან შეხვედრაში 4 მსაჯმა გამარჯვებულად სცნო. ამ დღეს წარმატება ხვდა აგრეთვე ქვემძიმე წონის ფერგანელ ვ. შინს. მან დაამარცხა შარშანდელი მსოფლიო თასისა და ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი კ. ზაილერი (გფრ).

ყველაზე მსუბუქ — 48 კგ წონით კატეგორიაში სპორტსმენთა ბრძოლებში წარმატებები ხვდათ: ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტს დ. გაალიხს (გდრ), რომელმაც დაამარცხა უნგრელი ა. როჟი, გო იონგ ხვანმა (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) სძლია პოლონელ ს. ცვეტუს, დომინიკანელმა ლ. რამირესმა დაჯაბნა ამერიკელი მ. დესპერანსესი. ეს ამერიკელთა პირველი დამარცხებაა. ასე, რომ, ახლა ჩემპიონატზე უდანაკარგოდ არც ერთი გუნდი არ იბრძვის.



## გამარჯვების დღეს მიეძღვნა

**სევასტოპოლში** ერთ კვირას გრძელდებოდა 1969-70 წლებში დაბადებულ კალათბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მოსკოვის, კრასნოდარისა და სევასტოპოლის ნაკრებ გუნდებთან ერთად თბილისის „ნორჩი დინამოელისა" და „მართვეს" კოლექტივებიც მონაწილეობდნენ.

საუცხოოდ იასპარეზეს დინამოელებმა (მწვრთნელები ლ. ინწკირველი და ჯ. ხუხაშვილი). მათ დამაჯერებლად დაამარცხეს მოსკოვის (58:44), კრასნოდარის (92:20), „მართვეს" კალათბურთელები და ფინალში მასპინძლებს შეხვდნენ.

პირველი ტაიმი თბილისელებმა ოთხქულიანი უპირატესობით მოიგეს (25:21), შესვენების შემდეგ კი უფრო დაწინაურდნენ, ანგარიშით 54:33 გაიმარჯვეს და I ადგილი დაიკავეს.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს დინამოელი გ. ხუხაშვილი.

შეჯიბრების მონაწილეები იყვნენ სამამულო ომში დაღუპულთა სასაფლაოზე, დაათვალიერეს მუზეუმი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

* * *

**სურათზე:** თბილისის „ნორჩი დინამოელის" გუნდი.

## პანორამა

● **ჩოგბურთი**

მოსკოველმა იულია სალნიკოვამ წარმატებით ჩაატარა იაპონიის დედაქალაქში მიმდინარე მოზარდ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალური შეხვედრები და გავიდა ნახევარფინალში. ბოლო შეხვედრაში მან სძლია შეჯიბრების ერთ-ერთ მასპინძელ ემიკო ოკაგავას — 7:6, 6:3. მისმა მეგობარმა ნატალია რევამ კი შეხვედრა დათმო აკიკო კიძიმუტასთან — 1:6, 4:6.

ჭაბუკთა მეოთხედფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ კიეველი ს. ბაკაი და კალინინგრადელი ა. ვოლკოვი. გაიმარჯვა ბაკაიმ — 7:5, 7:5.

ამ შეჯიბრებაში 11 ქვეყნის ასამდე სპორტსმენი მონაწილეობს.

● **ხელბურთი**

იუგოსლავიის ქალაქ ზაგრების ხელბურთელ ქალთა „ტრეშნიევკას" საკლუბო გუნდმა ვილნიუსში გამართა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის ევროპის ტურნირის მეორე ფინალური მატჩი ადგილობრივ „შგლესთან" და დათმო იგი — 17:13 (7:10), მაგრამ ვინაიდან შინ პირველი შეხვედრა სამი ბურთის სხვაობით ჰქონდა მოგებული (30:27), პირველობაც მას დარჩა.

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-19 ტირაჟები:

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** 3 (ბობსლეი), 12 (ტანვარჯიში), 22 (წყალში ხტომა), 23 (სათხილამურო ორჭიდი), 24 (ხელბურთი), 48 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 2 (ბიატლონი), 6 (ძიუდო), 10 (წყალბურთი), 17 (ციგურები), 32 (ფიგურული სრიალი).

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**

## 9 და 10 მაისს

**თბილისის** ცენტრალური ველოდრომი მეშვიდედ უმასპინძლებს ველოსიპედისტთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებას, სადაც „საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზს" გაითამაშებენ.

ამ ტურნირში მონაწილეობისთვის ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვივნენ ალჟირის, ბულგარეთის, კუბის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალები.

**9 მაისს** გაიმართება სპრინტერთა საკვალიფიკაციო სტარტები, 1000 მეტრზე გიტში ფინალი, 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საკვალიფიკაციო და მეოთხედფინალური შეჯიბრებები, სპრინტერთა ასპარეზობა 60 წრეზე ჯგუფურ რბოლაში და გამოდევნებით რბოლის ოსტატთა 100 წრეზე ჯგუფური ტურნირი.

**10 მაისს** მოეწყობა სპრინტერების მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური სტარტები, გამოდევნებით გუნდური რბოლის ოსტატთა ნახევარფინალური და ფინალური რბოლები, აგრეთვე, ჯგუფური შეჯიბრებები 75 და 100 წრეზე.

ორივე დღეს ასპარეზობანი 17 საათზე დაიწყება.

## მობრძანდით, განიმტკიცეთ

**10 მაისს 9-დან 18 საათამდე**

## ჯანმრთელობა!

**ლენინური** კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცხადებს საშუალო და უფროსი ასაკის პირთა მიღებას გამაჯანსაღებელ ჯგუფებში.

მეცადინეობა მოეწყობა კვალიფიციური მწვრთნელების ხელმძღვანელობით კომპლექსის სპორტულ დარბაზსა და ღია ტერასებზე, ოთხჯერ კვირაში.

მსურველებს შეუძლიათ დაესწრონ კ. კუპერის სისტემით ექსპერიმენტული ჯგუფის მეცადინეობას.

მიმართვები გაიცემა 10 მაისს 9-დან 18 საათამდე (მეთოდკაბინეტში).

ცნობებისთვის დარეკეთ: 99-80-19, 99-82-31.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, მოსახაშვილის, 89.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 08257